საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№111 (6337) 15 სექტემბერი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

მიმდინარეობს ხილის დამზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ყველა მონდომებს საქმეს წინ ვერავინ დაუდგება. ფასების გაზრდამ აქტიურად განაწყო წიფერჩის სასოფლო საბჭოს მშრომელები რაიონში კურკოვანი ხილის დამზადებაში აქტიური წვლილისათვის. არის შედეგიც. მიყიდულია 316 ტონა კურკოვანი ხილი 272 ტონის ნაცვლად.

აი ზოგიერთი მათგანი: ვლადიმერ თუთისანმა 1300 კილოგრამი ხილი მიჰყიდა ქვეყანას, ტაგუ, გიორგი ფუტკარაძეებმა, გუგული ლოლელიანმა, გივი ვლასის ძე ხეცურიანმა 900-900 კილოგრამი, პელაგიამ მიშა ჩარკვიანმა 800 კილოგრამი, მურთაზ ბენდელიანმა და ბუჩუ ლიპარტელიანმა 700-700 კილოგრამი და მრავალმა სხვამ.

მალე აქაური მშრომელები თესლოვანი ხილის მიყიდვას შეუდგებიან.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია ზოზინის საშუალებას არ იძლევა

საქდესის საპარლამენტო კორესპონდენტები კრემლიდან გვატყობინებენ

10 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეოთხე სესიის მუშაობის პირველ დღეს გაისმა მოწოდება მშვიდი შედეგიანი მუშაობისათვის, თანხმობის, საბჭოთა პარლამენტის მოქმედების ახალ რიტმსა და ხარისხზე გადასვლისათვის. პალატების გაერთიანებული სხდომა მიეძღვნა სესიის დღის წესრიგის ჩამოყალიბებასა და მუშაობის წესის განსაზღვრას.

ამ საკითხებზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. ლუკიანოვმა, რომელმაც თქვა, რომ პარლამენტში წარმოდგენილი სხვადასხვა საზოგადოებრივი მიმდინარეობის ფრაქციებსა და ჯგუფებს შორის ურთიერთმოქმედების, დიალოგის განვითარების მოქნილი მექანიზმის შექმნა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია. ჭეშმარიტება კამათში იბადება და არა კინკლაობაში, ხაზგასმით აღნიშნა მან. დროა, შევწყვიტოთ პოზიციებში განსხვავებათა სიღრმის გაზომვა და შევეცადოთ მათი განსხვავების მიუხედავად იმის დანახვას, რაც გვაერთიანებს. საბჭოთა პარლამენტის მეთაურის აზრით კი, უნდა გვაერთიანებდეს საერთო სურვილი გამოვიყვანოთ ქვეყანა კრიზისიდან, სოციალური დაძაბულობიდან, ერთაშორისი შუღლიდან. ამომრჩევლებს სურთ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო იყოს ორგანო, რომელსაც ექნება სათანადო პოლიტიკური ნება, შეიძლება იყოს რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების სტაბილიზატორი, ძირეული რეფორმების, საბჭოთა სახელმწიფოსა და კანონიერების განმტკიცების ორგანიზატორი. და თუ თვალსაზრისთა განსხვავება მიგვიყვანს არა კონფრონტაციამდე, არამედ ჩვენი სინამდვილის არცთუ მარტივ პრობლემათა გადაწყვეტამდე, თუ ხალხის ბედისათვის ზრუნვას დაექვემდებარება ყველა სხვა მოსაზრება, ეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ინტელექტუალური და პოლიტიკური პოტენციალის ყველაზე ღირსეული გამოყენება იქნება.

საბჭოთა პარლამენტის მეთაურმა აბსოლუტურად დაუსაბუთებელი უწოდა უკანასკნელ ხანს გამოთქმულ წინადადებას ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მუშაობის შეკვეცის ან თვით მათი დათხოვნის შესახებაც კი. გავხადოთ ქვეყნის პარლამენტი უმოქმედო მისი ისტორიის ისეთ რთულ და მწვავე პერიოდში, როცა წყდება ხალხთა ბედი, როცა მტკივნეულად და წინააღმდეგობრივად იკვალავს გზას საზოგადოების განვითარების ახალი კურსი, ნიშნავს—საქმე მივუშვათ თვითდინებაზე, უარი ვთქვათ გარდაქმნის პროცესებში იმათ მონაწილეობაზე, ვისაც ხალხმა მიანდო უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება, ხაზგასმით აღნიშნა მან.

ა. ი. ლუკიანოვმა დაწვრილებით დაახასიათა დღის წესრიგის პროექტი. აღნიშნა, რომ მისი ცენტრალური ამოცანა უნდა გახდეს ბაზარზე საბჭოთა ეკონომიკის გადასვლის სამართლებრივი უზრუნველყოფა. ჩვენი სესიის განსახილველად შემოტანილ საკითხთა პირველი ჯგუფია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ღონისძიებანი და მასთან დაკავშირებული კანონპროექტები. მათ შორისაა საინვესტიციო საქმიანობის, მოსახლეობის დასაქმების, ინვალიდთა სოციალური დაცულობის, ფასწარმოქმნის, ბანკების, სავალუტო რეგულირების, საბაჟო ტარიფის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები და სხვა.

სესიაზე მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მუშაობა ახალი საკავშირეო ხელშეკრულების მოსამზადებლად. სულ დეკემბრის დამლევამდე (სესიის დამთავრების დრო) უზენაესი საბჭოს წევრებმა უნდა განიხილონ ოცდაათზე მეტი კანონპროექტი.

სხდომაზე დაიწყო დღის წესრიგის ფორმირებასთან დაკავშირებულ წინადადებათა განხილვა.

(საქდესი).

ჩვენი დღეების ადამიანები

ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს სოფელ ლასურიაშის მკვიდრს სოკრატ ჭაბუკიანს, რომელსაც თავისი წუთისოფელი საკოლმეურნეო შრომაში აქვს გატარებული. 60 წელს გადაცილებული კაცია და შეჩვეული ჭირისა არ იყოს, საკოლმეურნეო შრომას ისეა

მიწა უფასებს ამაგს

შეზრდილი, რომ შრომის სხვა, რაიმე უკეთესი ფორმა თუკი არსებობს, ვეღარც წარმოუდგენია.

ყოველი სიახლე ცხოვრებისეულ ცვლილებებს იწვევს. ლასურიაშელ მშრომელთა საერთო კრებაზე მიღებულია გადაწყვეტილება გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შესახებ. სოკრატი კი ჯერჯერობით ისევ ძველებურად შრომობს, შემოდგომა მართლაც ბარაქიანი აქვს მუშა კაცს და როცა ჭირნახულს საიმედოდ დააბინავებს, შემდეგ გადაწყვიტავს რა გზას დაადგეს. ჯერ კი ვერ გაუაზრებია, მაინც არ ჯერა პატიოსან მუშა კაცს, რომ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის შემდეგ მოწეული მოსავალი, ყველა მისი იქნება.

0,2 ჰექტარ ზვარს და 0,3 ჰექტარ სასიმინდე ყანას უვლის, საკარმიდამო მეურნეობაში კი მისი მიწა 0,3 ჰექტარს შეადგენს, სრულებითაც არ უჭირს ამდენი ზვარის და ყანის მოვლა, სოკრატის და მის მსგავს ადამიანებს შრომა უყვართ, მიწის ნამდვილი ჭირისუფლობა იციან. ასეთებს მიწაც უსწორებს ნაამაგარს, გაწეული შრომის წილ არასდროს უკმაყოფილო არ რჩებიან.

ჯერ კი ისევ ფიქრობს მუშა კაცი, თუკი მის სამეზობლოში იფიქრებენ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლას, ისიც არ იტყვის უარს ანდა რად უნდა თქვას, როცა სხვისი არაფერი უნდა დასახნავია და თვითონვე ჰყავს მუშა გამწევი ძალა, თავისი ხელით დაამუშავებს. ნასუქია და ორგანული სასუქი ხომ ეშოვება, განა მინერალურზე უკეთესად არ გაანოყიერებს მიწას?

სწორედ ასეთ ადამიანებს უნდა გადაეცეთ მიწა, მათ შეუძლიათ მიწის პატრონობა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა

გივი ვალერიანის ძე ხეცურიანი—ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის შრომითი კოლექტივისაგან—კომისიის თავმჯდომარე.

ზაირა ბიქტორის ასული ბურჯანაძე — განათლების, მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა პროფკავშირის რაიონული საბჭოსაგან, თავმჯდომარის მოადგილე.

ამალია დავითის ასული სალინაძე—ლეჩხუმის წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის რეგიონალური გამგეობისაგან, კომისიის მდივანი.

წ ე ვ რ ე ბ ი:

ზაურ ვალერიანის ძე ახვლედიანი—სოფელ ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

რეზო ჰიჰიკოს ძე ბურჯალიანი—საქართველოს კომუნისტური პარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნუგზარ გრიგოლის ძე კოპალიანი— საქართველოს ჰელსინკის კავშირისაგან.

ციცო ამბროსის ასული სადილიანი— საქართველოს ეროვნული ფრონტი, რადიკალური კავშირისაგან.

დავით ყორას ძე ჩარხიანი—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისაგან.

ნუნუ სერაპიონის ასული ახვლედიანი სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებისაგან.

ჯონი ვალიკოს ძე ბურჯალიანი—საქართველოს ეროვნულ—ლიბერალური კავშირისაგან.

ვალია ივანეს ასული ონიანი—საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირისაგან.

ჯულიეტა დავითის ასული ბურჯალიანი—ალპანის სამკერვალო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

კონსტანტინე ალექსის ძე სილაგაძე—ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოსაგან.

მარინა ზურაბის ასული სვანიძე—საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თინა გრიგოლის ასული სალინაძე—ქალთა რაიონული საბჭოსაგან.

ციალა პლატონის ასული კოპალიანი—ცაგერის კოლმეურნეობის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

მუხრან მურადის ძე ლიპარტელიანი—ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

ნათელა კონსტანტინეს ასული ღურჭუმალიძე—ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

ბორის სერგოს ძე მიქაძე—სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მკითხველს ვთავაზობთ:

* მისაკო წერეთლის ეროვნულ-პოლიტიკური იდეალი

* ჭეშმარიტი ინტელიგენტი

* შრომა. სიკეთე. სიყვარული

II გვ.

* მწვანე მეგობარზე ზრუნვით

* „ჭაბუკები დარჩნენ მარად"...

* ყველა უნდა იცავდეს

III გვ.

სახეთა გალერეა

მიხაკო წერეთლის ეროვნულ-პოლიტიკური იდეალი

მიხაკო წერეთელს თითქმის არც კი იცნობს ქართველი საზოგადოებრიობა. მეტადრე ახალგაზრდობა. არადა იგი იყო დიდი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. თანამედროვეთა აღიარებით, „მართალია იგი იყო საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერი, მაგრამ მას მაინც პოლიტიკურმა მოღვაწეობამ გადასძლია. ეს ბუნებრივადაც კი გვესახება, რამდენადაც მას, როგორც დიდ მამულიშვილსა და ეროვნულ მოღვაწეს არ შეეძლო მოსვენებული ყოფილიყო, როდესაც ღრმად განიცდიდა მშობლიური ერის მწვავე ტკივილებს.

მიხაკო წერეთელი ოფიციალურად არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა, მაგრამ ახლოს იდგა სოციალისტ-ფედერალისტებთან და ეროვნულ დემოკრატებთან, მხურვალედ უჭერდა მხარს მათს ბრძოლას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

იგი დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს ზემო იმერეთის სოფელ ცხრუკვეთში. 1899 წელს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა განაგრძო ჯერ კიევის, შემდეგ პარიზისა და ჟენევის უნივერსიტეტებში. ბოლოს იგი სწავლობდა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტში, სადაც დაიცვა დოქტორობა ასირიოლოგიაში.

მ. წერეთელი ესწრებოდა ქართველ რევოლუციონერთა კონფერენციას, რომელიც 1904 წლის აპრილში ქალაქ ჟენევაში გაიმართა. აქ იყვნენ ქართველი ანარქისტებიც, რომლებიც 1905-1906 წლებში თბილისში სცემდნენ ჟურნალ „ნობათს". მისი მთავარი თანამშრომლები იყვნენ ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, შალვა გოგელია, ალექსანდრე გაბუნია (ისკანდერი). მალე ამ ჯგუფის ზოგიერთი წევრი თანამიმდევრულ და მყარ ეროვნულ ნიადაგზე დადგა. მათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მიხაკო წერეთელი. თანამედროვეთა აღიარებით, მისი სიტყვა უფლებააყრილ საქართველოში მეხივით ჰქუხდა და ეროვნულ ბრძოლას ცეცხლის ენერგიას აძლევდა. დიდი ილიას დასაფლავებაზე მრავალ წარმოთქმულ სიტყვათაგან განსაკუთრებით გამორჩეული იყო მიხაკო წერეთლის საპროგრამო პოლიტიკური სიტყვა. მისი წიგნი „ერი და კაცობრიობა" იყო მართლაც ის უდიდესი ძალის მქონე ყუმბარა, რომელიც მან ეროვნული იდეის უარმყოფელთ ესროლა. დიდი ილიას მიმდევარმა ერთადერთ რეალობად ერი აღიარა და მეცნიერულად დაასაბუთა ეროვნული პრობლემების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მ. წერეთლის ეროვნულ-პოლიტიკური იდეალი იყო არა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება, არამედ აღდგენა ისტორიული საქართველოსი. ამ იდეალს ემსახურებოდა იგი მთელ თავის სიცოცხლეში.

მ. წერეთელი იყო ქართველი ხალხის უველა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აქციის მონაწილე, 3. ჩერქეზიშვილთან და გ. გვაზავასთან ერთად ქართველი ერის სახელით შეადგინა პეტიცია, რომელიც გაეგზავნა ქ. ჰაგაში განიარაღების შესახებ მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციას. პეტიცია ასე იწყებოდა: „სიმართლისა და საერთაშორისო სამართლის სახელით ჩვენ უძველესი დამოუკიდებელი ქრისტიანული სამეფოს, საქართველოს მოქალაქენი მივმართავთ განათლებული ევროპის ერებს, მათი დელეგატების სახით საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე". შემდეგ მიმართვაში აღნიშნული იყო 1783 წლის ხელშეკრულების შესახებ და ვრცლად იყო აღწერილი ხელშეკრულების დარღვევა ცარისტული რუსეთის მიერ, ქართველი ერის დევნა-ჩაგვრა. „უცნობი მის ისტორიაში თემურლენგის შემოსევის შემდეგ". მიმართვაში ქართველი ერის სხვადასხვა წოდებისა და სოციალური მდგომარეობის წარმომადგენლები ითხოვდნენ თანაგრძნობას და დახმარებას ცივილიზებული ქვეყნების დელეგატებისაგან ქართველი ხალხის უფლებათა აღდგენაში 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად.

1909 წელს მ. წერეთელმა სხვა გამოჩენილ ქართველ ეროვნულ მოღვაწეებთან ერთად (ი. გოგებაშვილი, გ. გვაზავა, ნ. ლორთქიფანიძე, ალ. ყიფშიძე და სხვ). აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფის დაარსებაში. ჯგუფი სცემდა ჟურნალ „ერს", რომელიც დიდი მოხერხებით, მაგრამ გაბედულად მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ცარიზმის მოხელეებს. მ. წერეთელმა თავს უშველა და სასწრაფოდ ევროპაში წავიდა, რითაც გადაურჩა დაპატიმრებას.

1910 წელს ევროპაში ჩასვლისთანავე იქ მყოფ სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მ. წერეთელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ჟენევაში საქართველოს განთავისუფლების ჯგუფის დაარსებაში. ჯგუფი 1913 წლიდან სცემდა ჟურნალ „თავისუფალ საქართველოს".

მ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა პირველი მსოფლიო ომის დამდეგს ჟენევაში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის დაარსებაში. კომიტეტმა დადო ხელშეკრულებები გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მბარდაჟერის მიზნით. 1916 წლის ივლისში ქალაქ ლოზანაში გამართულ ერთა კონგრესზე ქრისტიან და მუსულმან ქართველთა სახელით იგი გამოვიდა ვრცელი და ღრმაშინაარსიანი მოხსენებით ქართველი ერის უფლებათა შესახებ, რომლითაც ფარდა ახადა ცარისტული რუსეთის ყაჩაღურ, კოლონიურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ.

1918 წლის მაისში აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობა. 1919 წელს მიხაკო წერეთელს ეხედავთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩად სკანდინავიის ქვეყნებში.

1920 წელს იგი მოწვეულ იქნა თბილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პროფესორად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ის იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო, სადაც ემიგრანტის მძიმე ხვედრი მოელოდა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. საზღვარგარეთ იგი ლექციებს კითხულობდა ასირიოლოგიასა და ქართულ ენაში ბრიუსელის უნივერსიტეტში, ხოლო 1933 წლიდან 1943 წლამდე ბერლინის უნივერსიტეტში ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

საზღვარგარეთ — მ. წერეთელმა ბევრი მეტად ღირებული ნაშრომი შეიმუშავა და გამოსცა ხეთოლოგიაში, ასიროლოგიაში, ურარტოლოგიაში და ა. შ. რომლებმაც მას მსოფლიო აღიარება მოუპოვეს.

მიხაკო წერეთელი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა 1965 წელს, ანდერძის შესაბამისად მისი ცხედარი დაწვეს.

მიხაკო წერეთლის მეცნიერულ და პოლიტიკურ მოღვაწეობას ნაღალ შეფასებას აძლევდნენ მისი თანამედროვე ქართველი მოღვაწეები. მაგალითად, ნოე ჟორდანია წერდა: „თავიდანვე მიხაკოს დროშა იყო და რჩება ქართველი ერის აღორძინება, ამაღლება და საკაცობრიო ოჯახში შეყვანა". გრ. რობაქიძის აზრით მიხაკო წერეთელი მარტო დიდი მეცნიერი კი არ იყო, რითაც იგი ივანე ჯავახიშვილის გვერდით იდგა, არამედ ნამდვილი მამულიშვილი და დიდი პოლიტიკური მოღვაწე, რომლის გულიც ძგერდა მხოლოდ საქართველოსათვის. გენერალი გ. კვინიტაძე მ. წერეთლის 70 წლისთავთან დაკავშირებით წერდა, რომ მან „პირველმა აღმართა დროშა საქართველოს განთავისუფლებისათვის იმ დროს, როცა ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა".

მიხაკო წერეთლის მდიდარ მეცნიერული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა ქართველ მკვლევართა კალამს ელოდება, ხოლო მისი თავგადაკლული ბრძოლა ისტორიული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის—ქართველი ერის შესაფერის დაფასებას.

ალექსანდრე მუჯირი,
პროფესორი.

კარგი სიტყვა კარგ ადამიანებზე

„ქრომა, სიკეთე სიყვარული

დილაადრიან აფუსფუსდება ერთი პატარა ქართული კერა: დედა—ლალი შარაშენიძე-კანაჩაძე—სათნო, ღულისსმიერი, თბილი დედა. მამა—ხამსონ კაკარგი, ულამაზესი ოჯახი. ოჯახი, ოჯახი, ოჯახი. ოჯახი, ოჯახი, ოჯახი. ოჯახი, ოჯახი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

16 სექტემბერი ტყის მუშაკთა დღეა

მწვანე მეგობარზე ზრუნვით

თანამედროვე პირობებში მწვავედ დადგა ბუნების დაცვის საკითხი. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს პლანეტაზე თანამედროვე ურთულესმა ეკოლოგიურმა ვითარებამ მსოფლიო საზოგადოება იძულებული გახადა ეღიარებინა, რომ დედაბუნებისადმი მხოლოდ მომხმარებლურ მიდგომას აუნაზღაურებელი და სავალალო შედეგები მოაქვს, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა მივხვდით, რომ ჰაერი, წყალი და ტყე ულევი არ გვქონდა.

ვფიქრობთ, თუ ყველამ არა, საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ შეიგნო, რომ ტყე არა მარტო საწარმოო ნედლეული, ლამაზი სახლი, და ძვირფასი ავეჯია, არამედ სიცოცხლის ერთ-ერთი კომპონენტია და თუ მისდამი ჩვენს დამოკიდებულებას არ შევცვლით, უმოკლეს ხანში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდება.

ბუნება შეცდომას არავის აპატიებს, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა უბედურებად ატყდება თავს ადამიანებს. ყოველი მოქალაქე უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას ტყეების, მდინარეებისა და წყაროების, მთებისა და მინდვრების მიმართ. უნდა იცავდეს გარემოს და ზრუნავდეს მის ბედზე.

ლეჩხუმი ტყით მდიდარი მხარეა, რომლის საერთო ფართობი რაიონის ტერიტორიის 65 პროცენტს შეადგენს. ტყეების უმეტესი ნაწილი მთის ფერდობებზე და მდინარეთა ხეობებშია განლაგებული. იგი ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის, წყალმარეგულირებელ და კლიმატმარეგულირებელ ფუნქციებს ასრულებს, უზრუნველყოფს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდას, ქმნის საუცხოო კომფორტს დასვენებისა და მკურნალობისათვის. რაც მთავარია, იგი ბიოსფეროს ძირითადი ენერგეტიკული ბაზა, მისი ყველა კომპონენტის შემაკავშირებელი რგოლია. ამიტომ ტყის გაშენებას, მის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენს რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოთა ხარისხოვანი შესრულებისათვის, პროდუქტიულობისა და ჯიშობრივი გაუმჯობესების მიზნით. ყოველწლიურად ვაშენებთ 15-20 ჰექტარ ტყის მასივს. ყველა ცაგერელს კარგად ახსოვს, თუ რამდენი ზიანი მიაყენა ატ-ნარის ღელეს ქალაქ ცაგერისათვის. მას შემდეგ რაც გველემბარში გაშენდა ფიჭვის ტყის მასივი, ღელის დამანგრეველი მოქმედებაც შეწყდა. მასივში გაჩნდა ფიჭვის დაავადება, რომლის აღკვეთა ტყის თითოეული მუშაკისა და ყველა მოქალაქის ვალია.

ჩვენს ტყეებში, ძირითადად, გეგმაზომიერად ტარდება მთავარი და შუალედური სარგებლობის ჭრები. იმისათვის, რომ არ ხელვყოთ ჩვენთვის ესოდენ საჭირო ეკოსისტემა, რომ არ დავკარგოთ სუფთა ჰაერი და მთის ანკარა წყაროები, საჭიროა ტყეს მზრუნველობით მოვეკიდოთ. ყველაფერი ამაოდ ჩაივლის, თუ თითოეული ადამიანის შეგნება იქამდე არ ამაღლდა, რომ შეიგნოს, ტყე მხოლოდ მეტყეველთა დასაცავი არ არის, რომ იგი ეროვნული სიმდიდრეა, ჩვენი სიცოცხლის გახანგრძლივების ძირითადი ელექსირია.

მას თითოეული ჩვენთაგანის მზრუნველობა და დაცვა სჭირდება.

მეტყეველთა კოლექტივს ამ საშვილიშვილო საქმეში მხარში უნდა ამოუდგეს ფართო საზოგადოებრიობა. ტყის დაცვა თითოეული მოქალაქის საპატიო მოვალეობად უნდა იქნას მიჩნეული.

დასამალი არ არის, რომ ჩვენს ტყეებს დიდი ზიანი მიაყენა ცალკეულ წარმოება-დაწესებულებათა მიერ სამანქანო გზების უსისტემოდ გაყვანამ. ბოლო ათი წლის განმავლობაში აშენდა სამანქანო გზები მდინარეების ლაჯანურის, ჯონოულის და ცხენისწყლის აუზებში. შეიძლებოდა, რომ გარკვეულ მანძილზე ერთი და იგივე გზით ესარგებლა სხვადასხვა ორგანიზაციას, მაგრამ ყველამ საკუთარი გზა გაიყვანა და ჩამონაშალი ქანების რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, რამაც გამოიწვია მდინარე ლაჯანურის კალაპოტის ამოვსება-ამაღლება და წალეკვის საშიშროება შეექმნა [illegible] ტერიტორიისა [illegible] ლობას.

ძუღურის ხეობაში, სადაც ხე-ტყის რეწვას აწარმოებდა წალენჯიხის ტყემრეწვის კომბინატი, გზების გაყვანის დროს, გამოყენებული იქნა ასაფეთქებელი მასალის გაუთვალისწინებელი დოზები, რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობით მთის ქანების მოგლეჯა და ტყის მასივის დაზიანება. საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში ტყისადმი ასეთი ბარბაროსული დამოკიდებულება აღკვეთილია. ამასთან შემცირდა უნებართავო ჭრებიც, მაგრამ კვლავ ვხვდებით პირებს, რომლებიც ჭრიან მცენარეებს ისეთ ადგილებში, სადაც მეწყრული ზონაა, ეს ბრაკონიერებაა და სხვა არაფერი. ეფიქრობთ, ასეთთა მიმართ ტყის დაცვის მუშაკებთან ერთად უნდა იმოქმედონ სასოფლო საბჭოებმა, დეპუტატებმა.

საჭიროა ყველა ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში, მოვუაროთ და დავიცვათ ტყე—სიცოცხლის ელექსირი.

ვ. დარახველიძე.

ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის დირექტორი.

იქნებ ახლობელია?

„ჭაბუკები დარჩნენ მარტ'დ"...

ჩვენი გაზეთის მკითხველებს უთუოდ ემახსოვრება პუბლიკაცია „კიდევ ერთი საძმო საფლავი", რომელშიც გამოქვეყნებული იყო მეორე მსოფლიო ომის დროს უკრაინაში ქ. ნიკოპოლის მიდამოებში დაღუპული 8 ლეჩხუმელი მეომრის ვინაობა. ორი მათგანის, ვარლამ გიორგობიანის და შაქრო ალავიძის ნათესავები უკვე გამოგვეხმაურნენ, ვარლამ მიქაძის ახლობელთაგან კი ჯერჯერობით არავის მოუწვდენია ხმა ახლახანს უკრაინიდან ისევ მივიღეთ იმავე ავტორის ახალი კორესპოდენცია. ლეონიდ იგნატენკო გვაცნობებს 9 ახალი სახელის აღმოჩენის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ ნიკოპოლის საძიებო ჯგუფმა, რომელსაც ლ. იგნატენკო ხელმძღვანელობს, ამას წინათ ნიკოპოლის მიდამოებში აღმოაჩინა სიმაღლე „მაგიდა ნეჩაევასათვის" ბრძოლაში დაღუპულთა საძმო საფლავი, როგორც ავტორი გვწერს, მათ ახლახანს დაამთავრეს მუშაობა „სსრკ თავდაცვის სამინისტროს არქივში, რის შედეგადაც ცნობილი გახდა ახალი სახელები. სულ სიმაღლისათვის ბრძოლაში დაიღუპა 600 კაცი, მათ შორის 92 საქართველოდან იყო".

ყურადღებას ვაქცევთ ქვემოთ ჩამოთვლილი პიროვნებების ნათესავებს, ახლობლებს, ნაცნობებს, დაღუპულთა გვარ-სახელებს, კოორდინატებს გადმოგცემთ ისე, როგორც ტექსტშია. მათი გასწორება ძნელი არ იქნება.

აი, ისინი, ვინც 1943 წლის დეკემბერში უკრაინაში ქ. ნიკოპოლის მიდამოებში გამართულ ბრძოლებში დაეცნენ:

ახვლედიანი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1925 წელს, გვარდიის რიგითი მსროლელი, გაწვეულია ცაგერის რაიონული სამხედრო კომისარიატის მიერ 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 21 დეკემბერს. სოფელი მახაში. დედა—მელანია სპარტ. (?)

ქარსელაძე სავიდ (დავითი?) სარდიონის ძე დაბადებული 1925 წელს. გვარდიის რიგითი მსროლელი. გაწვეულია ცაგერის რაიონული სამხედრო კომისარიატის მიერ 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 25დეკემბერს. მამა—სარდიონ გიორგის ძე, სოფელი თაბორი.

კაპაგაძე (კაპანაძე) გენიამინი იასუპის (იასონის, იოსების?) ძე, დაბადებული 1925 წელს, გვარდიის რიგითი მსროლელი, გაწვეულია 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 21 დეკემბერს. დედა—მელანია. სპირიდონის ასული, სოფ. მახაში.

ხუციძე შალვა ანისიმეს ძე, დაბადებული 1925 წელს, გვარდიის რიგითი მსროლელი, გაწვეულია 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 20 დეკემბერს. მამა—ანისიმე უკროპერის (?) ძე, სოფ. საირის (უნდა იყოს საირმე).

ხურციძე (ხუციძე, ხურციძე, ფრუიძე?) გიორგი მიღიტონის (მელიტონის) ძე, გვარდიის რიგითი მსროლელი, გაწვეულია 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 19 დეკემბერს, მამა მილიტონ დიმიტრის ძე. სოფ. საირის (საირმე?)

კონდელაძე (უანთელაძე?) ალექსანდრე ვარლამის ძე, დაბადებული 1925 წელს, გვარდიის რიგითი მსროლელი, გაწვეულია 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 19 დეკემბერს, მამა ვარლამ ნიკოლოზის ძე, სოფ. საირის (საირმე).

ალავიძე ვაჟა სოფრონის ძე, დაბადებული 1925 წელს, გვარდიის რიგითი მსროლელი, გაწვეულია 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 19 დეკემბერს, მამა სოფრომ პავლეს ძე, სოფ. საირის (საირმე).

საჯაია (?) გივი ივანეს ძე, დაბადებული 1925 წელს, გვარდიის რიგითი მსროლელი, გაწვეულია 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 19 დეკემბერს, მამა ივანე საფაევიჩ (?) სოფ. საირის (საირმე)

ჩხეტიანი გენია ანთიმოზის ძე. დაბადებული 1925 წელს, გვარდიის რიგითი მსროლელი, გაწვეულია 1943 წელს, დაიღუპა 1943 წლის 22 დეკემბერს. მამა—ანთიმოზ ბეისენოვიჩ (?) სოფ. გრიკეში (ღვირიში?).

ეს მეომრები დასაფლავებული არიან იქვე, სიმაღლის მისადგომებზე. ველით გამოხმაურებას და შეგახსენებთ ლ. იგნატენკოს მისამართს:

322900 უკრაინის სსრ ქ. ნიკოპოლი. კარლ ლიებკნეხტის ქ. №99.

გინა 7. „პოისკი" ლეონიდ ალექსანდრეს ძე იგნატენკო.

უკრაინელი მაძიებელი გვთხოვს აგრეთვე მივმართოთ ცაგერის რაიონის სამხედრო კომისარიატს შეიტანონ ეს სახელები ხსოვნის წიგნში. ჩვენც ვუერთდებით ამ თხოვნას.

ია ხმელიძე.

ავტორის მინაწერი: უკრაინიდან მოსულმა წერილმა კიდევ უფრო გაამძაფრა ჩვენი ტკივილი. იქნებ მიაქციეთ ყურადღება ორ მომენტს. სიმაღლისათვის გამართულ ბრძოლაში სულ 600 კაცი დაიღუპა მათგან 92 საქართველოს წარგზავნილი. განა ეს ფაქტი მრავლისმეტყველი არაა? და მეორეც—ყველა დაღუპული დაბადებულია 1925 წელს, 1943 წლისათვის ისინი 18 წლისანი იქნებოდნენ. სრულწლოვანების ასაკის შესრულებისთანავე გაუწვევიათ ჭაბუკები ფრონტზე და, როგორც ჩანს მაშინვე გადაუსვრიათ წინა ხაზზე. ომი რომ ორიოდე წელს გაგრძელებულიყო. ქართველთა ჯიშის გამგრძელებელიც აღარ დარჩებოდა. ჩვენდა ბედად ასე არ მოხდა.

ადამიანი, გზა, ტრანსპორტი

საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსიურმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მეტად აქტუალური საკითხი—მტკიცედ იქნას დაცული მოძრაობის წესები, როგორც ავტომძღოლებისაგან, ისე ფეხით მოსიარულეებისაგან.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და მისი შედეგები თითოეული მოქალაქის გულისწყლობა და მასა და შეშფოთებას იწვევს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პირობები ვერ გახდა მნიშვნელოვანი საკითხი. მძღოლები, ქვეითად მოსიარულეები არღვევენ მოძრაობის წესებს, არ ითვალისწინებენ, რომ ამ დარღვევას შეიძლება მოჰყვეს სავალალო შედეგი.

ზოგიერთ პროფესიონალ მძღოლსა თუ მოყვარულს ნორმალურად მიაჩნია გადაჭარბებული სიჩქარით ავტომანქანის მართვა, გზაჯვარედინების არასწორი გავლა, ღერძულა ხაზების გადაკვეთა და სავალი ნაწილის საპირისპირო მხარეზე გადასვლა.

ზოგიერთი მძღოლი კი, რადგან მის მიერ მოძრაობის წესის დარღვევას ცუდი შედეგი არ მოჰყოლია ავტოინსპექციის მუშაკებთან თავს იმართლებს და არ ითვალისწინებს იმას, თუ რა მოჰყვება მოძრაობის წესების დარღვევას.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ავტოსაგზაო შემთხვევები, განუხრელად უნდა დავიცვათ მოძრაობის უსაფრთხოების წესები, როგორც საზოგადოებრივი ასევე პირადი სარგებლობის ავტომანქანები გარაჟებიდან გამოვიყვანოთ მხოლოდ ტექნიკურად გამართული. მძღოლი, პროფესიონალი იქნება იგი თუ მოყვარული, საჭეს ნასვამ მდგომარეობაში არ უნდა მიუჯდეს, არ გადააჭარბოს სიჩქარეს, ყურადღება მიაქციოს მოძრაობის მიმმართველ ნიშნებს, დაიცვას გზაჯვარედინებზე გავლისა და ღერძულა ხაზების გადაკვეთის დადგენილი წესები და სხვა.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევის დიდი უმრავლესობა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მძღოლების მიერ ავტომანქანის მართვის შედეგია. ვინც საჭეს მართავს მისთვის სპირტიანი სასმელების მცირე რაოდენობით მიღებაც კი საბედისწეროა. მთვრალისაგან საჭის მართვა კი გარდაუვალი ავარიაა. არიან მძღოლები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გაიგეს ღვინისა და საჭის შეუთავსებლობა. 16 მაისს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა თავის კუთვნილ ავტომანქანას, სოფელ ლაილაშში მცხოვრები კოტე ივანეს ძე ჩაჩხიანი. 25 ივლისს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მართავდა სარემონტო-სამშენებლო უბნის ავტომანქანას მძღოლი ზურაბ შოთას ძე ნემსწვერიძე.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ავტოინსპექციის მუშაკების მიერ მიმდინარე წლის 8 თვეში გამოვლინებულ იქნა 78 მძღოლი, რომლებიც გადაჭარბებული სიჩქარით მართავდნენ ავტომანქანებს. მათ შორის დავასახელებ ბოლო თვეებში გამოვლინებულ რამდენიმე ფაქტს: 11 მაისს ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის სატვირთო

ყველა უნდა იცავდეს

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სპორტი

მოგება დიდი ანგარიშით

„ხვამლი“ (ცაგერი) — „იმედი“ (ზუგდიდის რ-ნი) — 6:0 (1:0)

„ხვამლი“ — კოპალიანი, აბალაძე, სვანიძე, გაჩეჩილაძე, ჯავახაძე, ხარაბაძე, ლეთოდიანი, ღარსაველიძე (ბერუჩაშვილი), მიქაძე, გოგიძე (ცხვლიანი), ღანგაძე.

„იმედი“ — ფაცაცია, ჰაჰუა, წულაია, ასათიანი, ლიპარტია, ჯოჯუა, ოკუჯავა, თოდუა, ხურგიანი, როგავა, ვაჟუა.

მსაჯი ხ. ლიპარტელიანი

12 სექტემბერს ცაგერის სტადიონზე სტარტი აიღო საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატის ზონალურმა გათამაშებამ, ადგილობრივი საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ მასპინძლობდა ზუგდიდის რუხის „იმედს“. შეხვედრის წინ მატჩის მონაწილე გუნდების კაპიტნებმა ეროვნული ჰიმნის ფონზე აღმართეს ეროვნული დროშა, ფეხბურთელებს ყვავილები მიართვეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა, გადაიღეს სამახსოვრო ფოტო-სურათები.

თამაშის პირველივე წუთებიდან ცაგერელთა ტერიტორიული უპირატესობა გამოიკვეთა, რომელიც თანდათან სათამაშო უპირატესობაში გადაიზარდა.

მე-13 წუთზე ცაგერელმა კახა გოგიძემ მეტოქის საჯარიმო ხაზთან მკერდით მიიღო ბურთი და შემობრუნებით, ძირსდაუშვებლად ძლიერად დაარტყა კარისაკენ, ბურთი მცირე მანძილით აცდა კარს.

მე-18 წუთზე სტუმართა კართან კუთხურიდან ბურთი ჩამოაწოდა კახა გოგიძემ, მეტოქის საჯარიმოზე ყველას მასპინძელთა შეიდმა ნომერმა, ელგუჯა ლეთოდიანმა დაასწრო და ლამაზი, თავური დარტყმით გახსნა ანგარიში, 1:0. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე საგოლე სიტუაცია შეიქმნა სტუმართა კართან, მაგრამ ანგარიში პირველ ტაიმში არ შეცვლილა. სტუმართა რამდენიმე კონტრშეტევას სახიფათო მომენტი არ მოჰყოლია, კარგად ითამაშა მასპინძელთა დაცვამ.

თამაშის მეორე ნახევარში მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა. 54-ე წუთზე ნუკრი მიქაძის მიერ გატანილი გოლი მსაჯმა არ ჩათვალა — გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

თამაშის 61-ე წუთზე სტუმართა მეკარემ უხეშად ითამაშა „ხვამლის“ თავდამსხმელის წინააღმდეგ, მსაჯმა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა, რასაც პატარა ინციდენტი მოჰყვა — სტუმრებმა პროტესტის ნიშნად მინდორი დატოვეს და თავისი ავტობუსისაკენ გაემართნენ, არადა პენალტი აშკარა იყო. აქ საქმეში ჩაერია გუნდების ხელმძღვანელობა და 3 წუთის შემდეგ თამაში განახლდა. თერთმეტმეტრიანი დარტყმა ზუსტად შეასრულა ზაზა აბალაძემ. რამდენიმე წუთის შემდეგ კახა გოგიძემ სამამდე გაზარდა ანგარიში და ამით „იმედს“ თამაშის ხსნის ყოველგვარი იმედი გადაუწურა, რასაც კიდევ 3 გოლი მოჰყვა ზუგდიდელთა კარში.

6:0 — ასეთი დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვა „ხვამლმა“.

ცაგერის პროფტექნიკური სასწავლებლისა და ახალგაზრდული კავშირის მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ პირველი გოლის ავტორს ელგუჯა ლეთოდიანს, მატჩის საუკეთესო მოთამაშეებს სტუმართაგან რენო ჯოჯუას და „ხვამლის“ ფეხბურთელს მამუკა ჯავახაძეს, შეხვედრის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეს პაატა ჰაჰუას.

ვულოცავთ „ხვამლის“ ფეხბურთელებს ამ გამარჯვებას, კვლავაც ასეთი წარმატებებით ევლოთ!

ბ. ჩარკვიანი.

ყველა უნდა იცავდეს

(დასასრული).

ავტომანქანის მძღოლი დავით გრიგოლის ძე მიქაძე გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა. ასევე გადაჭარბებული სიჩქარით მართავდნენ საკუთარ ავტომანქანებს 28 ივლისს ზაალ ზუბიკოს ძე ჩაკვეტაძე და 30 ივლისს მირიან ჟორას ძე ახვლედიანი, 18 მაისს ცაგერის რაიკოოპერატივის მძღოლი გრიგოლ არტემის ძე ჩხეტიანი.

უნდა ითქვას, რომ რატომღაც საკუთარი ავტომანქანების ზოგიერთი მფლობელი გადიდგულებულია, და მართვის მოწმობის გარეშე დაატარებს ავტომანქანას. სოფელ ჩხუტელში მცხოვრები მამუკა ბიძინას ძე მურცხვალაძე, ქალაქ ცაგერში მცხოვრებლები ტრისტან გრიგოლის ძე ჩხეტიანი და ბესიკ ოთარის ძე ყურაშვილი ავტომანქანებს მართვის მოწმობის გარეშე დაატარებენ ქალაქის ქუჩებში.

უსახელოურის საბჭოთა მეურნეობის ავტომანქანის მძღოლი ნოდარ ვალიკოს ძე ჩაკვეტაძე, კოოპერატივ „ცაგერის“ ავტომანქანის მძღოლი ზაქრო გივის ძე ჩიქოვანი, ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტომანქანის მძღოლი თამაზ გრიგოლის ძე სვანიძე არ ასრულებენ საგზაო ნიშნების მოთხოვნებს. მართალია მათ ასეთ მოძრაობას რაიმე სერიოზული შემთხვევა არ მოჰყოლია. მაგრამ ნათქვამია, „კოკა წყალს სულ არ მოიტანს“. ასეთ დარღვევებს შეიძლება მოჰყვეს მძიმე შედეგიც.

შემაშფოთებელია, რომ სახელმწიფო ავტომანქანების მძღოლები საკუთარ ბინებზე აყენებენ ავტომანქანებს. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ავტოინსპექციის მუშაკების მიერ მოწყობილი რეიდის დროს სახელმწიფო ავტომანქანები ბინაზე ეყენათ: ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს მძღოლს, სოფელ ზარაგულაში მცხოვრებ გიგლა ნოეს ძე კოპალიანს, ცაგერის რაიკოოპერატივის ავტომანქანის მძღოლს, მცხოვრებ სოფელ ლასურიაში გელა გურამის ძე მუშკუდიანს, კომუნალური მეურნეობის ავტომანქანის მძღოლს, მცხოვრებ ქალაქ ცაგერში სოსო ბიძინას ძე ფანჯავიძეს, ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს, მცხოვრებ სოფელ ლასურიაში ჯემალ ნიკოს ძე ტვილდიანს. სახელმწიფო ავტომანქანების მძღოლთა მიერ ბინებზე დაყენება ავტომანქანების ექსპლოატაციის უხეში დარღვევაა, რასაც შეიძლება მოყვეს არასასიამოვნო შედეგი.

მიმდინარე წლის 8 თვეში ავტოინსპექციის მუშაკების მიერ რაიონის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა მოძრაობის წესების დარღვევის 411 შემთხვევა, მათ შორის სიმთვრალის — 9, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის — 78, სხვა სახის დარღვევების — 324 ფაქტი. ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ გაძლიერებული ბრძოლაა საჭირო მოძრაობის წესების დამრღვევთა მიმართ. გააქტიურებას მოითხოვს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების მუშაობა.

როგორც სახელმწიფო ავტომანქანების მძღოლები, ასევე საკუთარი ავტომანქანების მფლობელები, ვალდებულნი არიან მტკიცედ და განუხრელად იცავდნენ საგზაო მოძრაობის წესებს.

გ. სიჯაგაძე.
შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი.

ფაბრიკა ძალას იკრებს

თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკაში მწყობრში ჩადგა ორი ახალი საამქრო. ისინი აღჭურვილია თანამედროვე უნგრული მოწყობილობით, თითოეული მათგანი გათვალისწინებულია 36 ათასი კვერცხისმდებელი ქათმისათვის.

რესპუბლიკის დედაქალაქის მომარაგება დიეტური პროდუქციით მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაობის ძირითადი მიმართულებაა. აქედან ქალაქის მაღაზიებში ყოველდღიურად იგზავნება 100 ათასი ცალი კვერცხი, 1-1,5 ტონა ხორცი. ეს არ არის ცოტა თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ რამდენიმე წლის წინ ფაბრიკა რესპუბლიკაში ჩამორჩენილთა შორის იყო და სახელმწიფოს დიდი ფულადი თანხაც ემართა. გარდატეხა მას შემდეგ დაიწყო, რაც ფაბრიკაში საიჯარო ურთიერთობა დაინერგა. ამჟამად შვიდივე საწარმოო ბრიგადამ აითვისა ახალი ეკონომიკური ურთიერთობა, ამის შედეგად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

გილოცავთ

დავით კაპიტონის ძე კოპალიანს

გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს, გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, სიმხნევეს, ბედნიერებას

ჯიმშერ მურცხვალაძე ოჯახით.

ვალიკო ლუკას ძე ბურჯალიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელ და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

სოზარ, მანანა, ნესტან, მაია, ფიქრია ბურჯალიანები.

მანანა, ჯანიკო ლეთოდიანებს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ჯანმრთელი და ერის საამაყო შვილი.

გიზო, გივი, ელიშუქ ახვლედიანები, ჯუმბერ სალინაძე, მერაბ ბურჯალიანი, დალოსტი სვანიძე, როლანდ სილაგაძე, გიზო კალანდაძე, ჯონი ხმელიძე, კოლია ფუტკარაძე, ჯუმბერ ბენდელიანი ოჯახებით.

მურად რეზოს ძე მიქაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარული და წარმატებები ნუ მოგკლებოდეთ.

ცაგერის მრავალდარგობრივი საბინაო კომუნალური მეურნეობის გაერთიანების თანამშრომლები.

ნატო შაქროს ასულ შკუბულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წინსვლას ცხოვრებაში.

ნანა, იზა შკუბულიანები.

გილოცავთ ახლადდაქორწინებულებო!

აზა ჟორას ასულ აკობიძეს
მამუკა თამაზის ძე სვანიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული დაბედებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

უახლოესი მეზობლები რომან ტვილდიანი, სეით ყურაშვილი, თამაზ ჩაკვეტაძე, ოთარ ხაბულიანი, ემზარ მდივანი, გელა ხვადაგიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი ლეთოდიანი-ჯიქია.

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ დარეჯან ახვლედიანს მამის

აპოლონ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა, ქეთევან ახვლედიანებს მამამთილისა და მამის

აპოლონ ახვლედიანის

გარდაცვალების გამო.

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცირა მახარობლიძეს დედამთილის

ნინა მახარობლიძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-37, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—23-41 საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23. გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.